



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212677

თარიღი:24/09/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 83

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „ორბიტა“-ს შორის 2016 წლის 22 ნოემბერს
გაფორმებულ N23 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482125875; 15/09/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე შპს „ორბიტას“ წარმომადგენლის ეკატერინე ნიკოლაიშვილის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „ორბიტა“-ს შორის 2016 წლის 22 ნოემბერს გაფორმებულ N23 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება შემდეგი სახით--- მოიჯარემ წლიური საიჯარო ქირა 20 088 ლარი გადაიხადოს ერთჯერადად ყოველი წლის 30 სექტემბრამდე, ხელშეკრულების ვადის შეწყვეტამდე. 2021 წლის 30 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირა 20 088 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და მოიჯარემ გადაიხადოს 2022 წლის 30 სექტემბრამდე, 2022 წლის საიჯარო ქირასთან ერთად, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „ორბიტას“ შორის 2016 წლის 22 ნოემბერს გაფორმებულ N23 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, გუბრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

